ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – პ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.03.2016

საჩივრის რეგისტრაციის №019/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 21 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა პ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და თანხის დაბრუნების დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, სად-ის N8 დაწესებულებაში ამ დაწესებულების თანამშრომლების მიმართ დაწერა საჩივარი მისი ცემისა და წამების გამო, რის შედეგადაც მის წინააღმდეგ ცრუ ბრალდებით აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. მომჩივანის ოჯახმა მის დასაცავად მიმართა ადვოკატ მ. ბ.-ს და საადვოკატო მომსახურების თანხის სახით გადასცა 1000 (ათასი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. ბ. არ გამოცხადდა მის სასამართლო სხდომებზე. მოსამართლემ დაკითხა 5 მოწმე, 3 ექსპერტი და ადვოკატი არც ერთ სხდომას დასწრებია. 2016 წლის 02 მარტის სხდომაზე მოსამართლემ ადვოკატი მ. ბ. გამოუცხადებლობის გამო დააჯარიმა 400 (ოთხასი) ლარით. აღნიშნული ქმედებით ადვოკატი ატარებს პროკურატურის ინტერესებს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, სად-ის N8 დაწესებულებაში მის მიმართ განხორციელებული ძალადობის გამო ქ.თბილისის პროკურატურაში 2015 წლის 14 აგვისტოს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ამჟამად საქმის გამომძიებელი მისგან ჩვენების ასაღებად ელოდება ადვოკატ მ. ბ.-ს, ადვოკატი პირდება, რომ ჩავა მასთან სად-ის N6 დაწესებულებაში, თუმცა უშედეგოდ.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი არათუ სხდომებზე არ ცხადდება და მას არ ნახულობს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მის ოჯახსაც არ პასუხობს სატელეფონო ზარებზე, ხოლო მასთან სახლში მისულ პ. მ.-ის ოჯახის წევრებს კარს არ უღებს.

1.6 საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ ვინაიდან ადვოკატი მ. ბ. მას არ უწევს საადვოკატო მომსახურებას, ადვოკატმა დაუბრუნოს აღებული ჰონორარი, რაც მას მისცემს საშუალებას ახალი ადვოკატი აიყვანოს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ეთიკის კომისიის აპარატი ადვოკატს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე: XXX XX XX XX ვერ დაუკავშირდა, რადგან გათიშულია ნომერი. ადვოკატს საჩივარი ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა ერთიან სიაში მითითებულ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, დ.-ის მე-X ქ, NXX (ადვოკატს საჩივარი 2016 წლის 05 აპრილს არ ჩაბარდა ადვოკატთა ერთიან სიაში მისამართის არასრულად მითითების გამო); ქ. თბილისი, ბ.-ის ქ. NXX (ადვოკატს საჩივარი არ ჩაბარდა მოუკითხაობის გამო 2016 წლის 03 მაისს). ეთიკის კომისიის აპარატი ადვოკატს ვერ დაუკავშირდა სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ადვოკატის ორდერზე მითითებული ტელეფონის ნომრის საშუალებით: 598 44 24 29, ასევე ადვოკატს საფოსტო გზავნილი კიდევ ერთხელ გაეგზავნა ორდერში მითითებულ მისამართზე - ქ. თბილისი, ს. ქ.-ის პირველი შესახვევი, NX, ადვოკატს გზავნილი არ ჩაბარდა მოცემულ მისამართზე, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ მ. ბ.-მ მისამართი შეიცვალა.

2.2 ადვოკატს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გაეგზავნა ფოსტით, ერთიან სიაში მითითებულ მისამართზე (ქ.თბილისი, ე.ბ.-ის ქ.NXX) და არ ჩაბარდა, რადგან ადვოკატი აღარ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

2.3 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ საქმეზე განხილვის სხდომა დანიშნა 2017 წლის 01 მარტს. ადვოკატთან დაკავშირება კომისიის აპარატმა ერთიან სიაში მითითებულ ნომერზე XXX XX XX XX ისევ ვერ შეძლო, რადგან ნომერი გათიშულია. ადვოკატს ფოსტით გაეგზავნა უწყება სხდომაზე დაბარების თაობაზე ერთიან სიაში მითითებულ მისამართზე, რაც არ ჩაბარდა ერთიან სიაში მისამართის არასრულად მითითების გამო. კომისიამ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სხდომა გადაიდო 2017 წლის 18 აპრილს. ადვოკატს უწყება სხდომაზე დაბარების შესახებ გაეგზავნა ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში მითითებულ მისამართზე, რაც არ ჩაბარდა ერთიან სიაში მისამართის არასრულად მითითების გამო. კომისიამ აღნიშნულ სხდომაზე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 34-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მხარეთა დასწრების გარეშე განიხილა დისციპლინური საქმე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2016 წლის 20 ივნისს მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი მ. ბ. არ ცხადდებოდა პ. მ.-ის სასამართლოს სხდომებზე, კლიენტს და მის ოჯახის წევრებს არ აწვდიდა ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის თაობაზე, ადვოკატს აღებული საადვოკატო მომსახურების თანხის სანაცვლო მომსახურება კლიენტისათვის არ გაუწევია, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატსა და კლიენტის ოჯახს შორის საადვოკატო ურთიერთობის შესახებ შეთანხმება ზეპირი ფორმით შედგა 2015 წელს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

პ. მ.-ის 2016 წლის 21 მარტის საჩივარი;

ადვოკატ მ. ბ.-ის 2015 წლის 15 ოქტომბრის N29 ორდერი.

4.1.2 ადვოკატ მ. ბ.-ს უნდა დაეცვა პ. მ.-ის ინტერესები ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში, ორდერის მოქმედების ვადად განისაზღვრა პირველი ინსტანციის სასამართლო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

პ. მ.-ის 2016 წლის 21 მარტის საჩივარი;

ადვოკატ მ. ბ.-ის 2015 წლის 15 ოქტომბრის N29 ორდერი.

4.1.3 საჩივრის ავტორის სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი გამოცხადდა 2015 წლის 05 ნოემბერის, 10 დეკემბრისა და 15 დეკემბრის სხდომებზე, შემდეგ არ გამოცხადებულა 2015 წლის 24 დეკემბერის, 2016 წლის 13 იანვრის და 2016 წლის 14 იანვრის სხდომებზე. შემდეგ ადვოკატი გამოცხადდა 2016 წლის 01 თებერვლისა და 18 თებერვლის სხდომებზე, და არ გამოცხადებულა 2016 წლის 04 თებერვლის, 2016 წლის 02 მარტის, 2016 წლის 11 მარტის, 06 აპრილის, 13 აპრილისა და 05 მაისის სხდომებზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

პ. მ.-ის 2016 წლის 21 მარტის საჩივარი;

სასამართლოს სხდომის ოქმები სისხლის სამართლის საქმეზე NX/XXXX-XX.

4.1.4 ადვოკატი მ. ბ. სასამართლოს სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო 2016 წლის 02 მარტს მოსამართლის მიერ დაჯარიმდა 400 (ოთხასი) ლარით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

პ. მ.-ის 2016 წლის 21 მარტის საჩივარი;

ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 02 მარტის განკარგულება სასამართლო სხდომაზე პირის დაჯარიმების შესახებ საქმეზე NX/XXXX-XX.

4.1.5 საჩივრის ავტორს ადვოკატ მ. ბ.-ის სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო 2016 წლის 12 იანვარს სსსკ-ის 42 მუხლის საფუძველზე სავალდებულო წესით დაენიშნა ადვოკატი ი. ე..

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

პ. მ.-ის 2016 წლის 21 მარტის საჩივარი.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 მაისის წერილი ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას.

4.1.6 სასამართლომ პ. მ.-ის სისხლის სამართლის საქმეში მოწმეები და ექსპერტები დაკითხა სასამართლოს სხდომაზე, რომელსაც პ. მ.-ის ადვოკატი არ ესწრებოდა. ბრალდებულის შუამდგომლობა, სადაც ის ითხოვდა პროცესის გადადებას იმ საფუძვლით, რომ სხდომას არ ესწრებოდა მისი დამცველი სასამართლომ არ დააკმაყოფილა და განუმარტა, რომ რადგან ადვოკატს სხდომის თარიღი ეცნობა კანონით დადგენილი წესით, სხდომა არ გადაიდებოდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

პ. მ.-ის 2016 წლის 21 მარტის საჩივარი;

სასამართლოს სხდომის ოქმები სისხლის სამართლის საქმეზე NX/XXXX-XX.

4.1.7 ადვოკატი სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებაში კლიენტს შეხვდა ოთხჯერ: 2015 წლის 10 აგვისტოს, 11 აგვისტოს, 31 აგვისტოს და 09 ოქტომბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

პ. მ.-ის 2016 წლის 21 მარტის საჩივარი;

ბრალდებულისა და ადვოკატის შეხვედრების ამონაწერი.

4.1.8 პ. მ.-ის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო 2015 წლის 05 ნოემბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

პ. მ.-ის 2016 წლის 21 მარტის საჩივარი;

პ. მ.-ის სისხლის სამართლის საქმე NX/XXXX-XX.

4.2 **სადავო ფაქტობრივი გარემოებები:**

კლიენტმა ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 1000 (ათასი) ლარი.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული თანხა ჰონორარის სახით ადვოკატ მ. ბ.-ს გადასცა მისმა ოჯახმა.

ბ) ადვოკატ მ. ბ.-ს ეთიკის კომისიისათვის ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია და მისი პოზიცია საქმეზე აღებული ჰონორარის ოდენობის თაობაზე კომისიისათვის უცნობია.

კომისიამ ვერ დაადგინა გადასცა თუ არა პ. მ.-ის ოჯახმა ადვოკატ მ. ბ.-ს თანხა საადვოკატო მომსახურების გასაწევად, რადგან ადვოკატის პოზიცია უცნობია, ხოლო საჩივრის ავტორს კომისიისათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურებდა ადვოკატისათვის საადვოკატო მომსახურების თანხის გადაცემის ფაქტს.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ შეისწავლა საჩივარი, საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები."

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

6.2 ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. კვალიფიციურობა გულისხმობს, რომ ადვოკატმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და დაცვა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკისა და საპროცესო მოქმედებების არსებითი შეფასება, მათი ხარისხის შემოწმების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ეთიკის კომისია იზიარებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით: ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და, შესაბამისად, წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს."

6.4 კლიენტის დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, ადვოკატის ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის N035/10 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატს ევალება მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისთვის."

6.5 პ. მ.-სა და ადვოკატ მ. ბ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2015 წლის 15 ოქტომბრიდან. საადვოკატო მომსახურებაზე ადვოკატს ზეპირი ფორმით შეუთანხმდა საჩივრის ავტორის ოჯახი. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილია 2015 წლის 15 ოქტომბერს გაცემული ორდერი, რომლის თანახმად - ადვოკატ მ. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დაეცვა ბრალდებულ პ. მ.-ის ინტერესები ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ორდერის მოქმედების ვადაა - პირველი ინსტანციის სასამართლო. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატი არ ესწრებოდა მის სასამართლო სხდომებს, რის გამოც მოსამართლემ ადვოკატი დააჯარიმა და პ. მ.-ს სავალდებულო წესით დაუნიშნეს დამცველი.

6.6 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: ,,შეტყობინება ადვოკატს ბარდება განმცხადებლის მიერ მითითებულ მისამართზე. თუ ამ მისამართზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, შეტყობინება იგზავნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ მონაცემებში არსებულ ადვოკატის მისამართზე. ამ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუნდაც ადვოკატი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე“. სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წესდების მე–9 მუხლის 9.2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ასოციაციის წევრი მოვალეა ,,ასოციაციას წარუდგინოს ინფორმაცია მისი საცხოვრებელი ადგილის და საადვოკატო ბიუროს მისამართების, საკონტაქტო ტელეფონის ცვლილების შესახებ მისი წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში.“ როგორც საპროცესო, ასევე განხილვის კოლეგიამ ყველა გონივრული სტანდარტით იმოქმედა, რათა ადვოკატს ესარგებლა დისციპლინური სამართალწარმოების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით შესძლებოდა გამაქარწყლებელი მტკიცებულებებისა და პოზიციის წარდგენა. ადვოკატს საჩივარი და საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა საქმეში არსებულ, ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში მითითებულ და სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მისამართებზე; ასევე კომისიის აპარატი მასთან დაკავშირებას შეეცადა საქმეში არსებულ და ერთიან სიაში მითითებულ ყველა საკონტაქტო ნომერზე. არაერთი მცდელობის შემდეგ, ეთიკის კომისიისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, დებულების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და წესდების მე–9 მუხლის 9.2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შეტყობინება საჩივრის თაობაზე ადვოკატ მ. ბ.-ისთვის ჩაბარებულად ითვლება და განხილვის კოლეგია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს პ. მ.-ის საჩივარზე.

6.7 ეთიკის კომისიამ სასამართლოდან გამოითხოვა სხდომის ოქმები სისხლის სამართლის საქმეზე N1/4556-15, ბრალდებული - პ. მ., ადვოკატი მ. ბ., რომლის მიხედვით დგინდება, რომ ადვოკატი გამოცხადდა 2015 წლის 05 ნოემბერის, 10 დეკემბრისა და 15 დეკემბრის სხდომებზე, შემდეგ არ გამოცხადებულა 2015 წლის 24 დეკემბერის, 2016 წლის 13 იანვრის და 2016 წლის 14 იანვრის სხდომებზე. შემდეგ ადვოკატი გამოცხადდა 2016 წლის 01 თებერვლისა და 18 თებერვლის სხდომებზე, და არ გამოცხადებულა 2016 წლის 04 თებერვლის, 2016 წლის 02 მარტის, 2016 წლის 11 მარტის, 06 აპრილის, 13 აპრილისა და 05 მაისის სხდომებზე.

6.8 ქ.თბილისის საქალაქო სასამართლომ ეთიკის კომისიას მოაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე NX/XXXX-XX ბრალდებულ პ. მ.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ბ.-ის გამოუცხადებლობის გამო რამდენჯერმე ჩაიშალა სასამართლო პროცესი და გადაიდო სხვა დროისთვის. ადვოკატის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო ბრალდებულ პ. მ.-ს 2016 წლის 12 იანვარს სსსკ-ის 42 მუხლის საფუძველზე დაენიშნა ადვოკატი ი. ე. სავალდებულო წესით, ამის შემდეგ 2016 წლის 01 თებერვლის სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი მ. ბ., თუმცა წინა პროცესებზე გამოუცხადებლობის მიზეზი არ განუმარტავს, ამის შემდეგ ის აღარ გამოცხადებულა სასამართლოს სხდომებზე, რის გამოც 2016 წლის 02 მარტს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო სასამართლოს მიერ ის დაჯარიმდა 400 (ოთხასი) ლარით (2016 წლის 02 მარტის განკარგულება სასამართლო სხდომაზე პირის დაჯარიმების შესახებ საქმეზე NX/XXXX-XX).

6.9 კოლეგიის შეფასებით, 2016 წლის 13 იანვრის სასამართლოს სხდომაზე პ. მ.-მ პრეტენზია განაცხადა მოწმეთა დაკითხვაზე, რადგან სხდომას არ ესწრებოდა მისი ადვოკატი, მოსამართლემ კი განუმარტა, რომ რადგან ადვოკატს სხდომის თარიღი ეცნობა კანონით დადგენილი წესით, სხდომა არ გადაიდებოდა. 2016 წლის 14 იანვრის სხდომაზე სასამართლო ისევ არ იყო ინფორმირებული ადვოკატის გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე და საჩივრის ავტორმა მას აცნობა, რომ მისმა ოჯახმა მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადვოკატი რეგიონშია და ტელეფონი დაუზიანდა. სასამართლომ პ. მ.-ს სავალდებულო წესით დაუნიშნა დამცველი ი. ე., რომელიც საქმეში ჩაერთო 2016 წლის 01 თებერვლის სასამართლოს სხდომაზე. ამის შემდეგ ადვოკატი მ. ბ. 2 სხდომას დაესწრო ადვოკატ ი. ე.სთან ერთად და შემდეგ სხდომებზე არ გამოცხადებულა. ადვოკატ მ. ბ.-ს მონაწილობა არ მიუღია სასამართლოს სხდომებში, როდესაც ამ საქმეზე დაკითხეს მოწმეები და ექსპერტები. შესაბამისად, ადვოკატმა დაარღვია საქმის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმოების ვალდებულება.

6.10 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.10.1 „ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რაც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

6.10.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.11 ადვოკატი კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციას უნდა აწვდიდეს მასთან შეთანხმებული წესის მიხედვით. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სრული, შეესაბამებოდეს საქმის მიმდინარეობას და მიწოდებული იყოს კლიენტისათვის გასაგებ ენაზე. კლიენტისათვის ინფორმაციის სრულად, დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.

6.12 ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N092/11 განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

6.13 საქმეში წარმოდგენილია N6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულ პ. მ.-სა და ადვოკატ მ. ბ.-ის შეხვედრების ამონაწერი, რომლის თანახმად, ადვოკატი კლიენტს შეხვდა სულ 4-ჯერ: 2015 წლის 10 აგვისტოს, 11 აგვისტოს, 31 აგვისტოს და 09 ოქტომბერს. პ. მ.-ის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო 2015 წლის 05 ნოემბერს, ხოლო ადვოკატი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბოლოს შესულია 09 ოქტომბერს. რადგან ადვოკატი არც სასამართლოს სხდომებზე ცხადდებოდა და სხდომების მიმდინარეობისას კლიენტთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვიზიტი არ ჰქონია, კომისიას მიაჩნია, რომ პ. მ.-ს შეეზღუდა შესაძლებლობა ინფორმაცია მიეღო საქმის მდგომარეობის შესახებ და ჩართული ყოფილიყო საქმისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, ადვოკატის მიერ დაირღვა კლიენტის სათანადოდ ინფორმირების ეთიკური ვალდებულება.

6.14 განხილვის კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

6.15 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს მისმა ოჯახმა საადვოკატო მომსახურების თანხის სახით გადასცა 1000 (ათასი) ლარი და რადგან ადვოკატმა მომსახურება არ გაუწია, თანხა უკან უნდა დაუბრუნოს. ადვოკატ მ. ბ.-ს ეთიკის კომისიისათვის ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია და მისი პოზიცია საქმეზე აღებული ჰონორარის ოდენობის თაობაზე კომისიისათვის უცნობია. კომისიამ ვერ დაადგინა გადასცა თუ არა პ. მ.-ის ოჯახმა ადვოკატ მ. ბ.-ს თანხა საადვოკატო მომსახურების გასაწევად, რადგან ადვოკატის პოზიცია უცნობია, ხოლო საჩივრის ავტორს კომისიისათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურებდა ადვოკატისათვის საადვოკატო მომსახურების თანხის გადაცემის ფაქტს. შესაბამისად, ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა არ დასტურდება.

6.16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.17 განხილვის კოლეგიამ ადვოკატისათვის სახდელის - გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ეთიკური გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე ადვოკატ მ. ბ.-ისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, 34–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N019/16 ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ მ. ბ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/